



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამა

შპს - საქართველოს უნივერსიტეტი

დასკვნა

17/08/20

თბილისი

2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

#### ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საექთნო საქმე
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	საექთნო საქმის ბაკალავრი 0905
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

#### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ დაუსი სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე „ნიუვიჟნი“ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა აბუანდაძე „ვაბაკო“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა მოქმედებს 2012 წლიდან.

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც შედგება ძირითადი საგნების - 228 ECTS და არჩევითი საგნების-12 ECTS, რომელსაც სტუდენტი ირჩევს შეთავაზებული 36 ECTS -დან .

პროგრამა მოიცავს თეორიულ და ლაბორატორიულ სწავლებებს, კლინიკური პრაქტიკას (90 ECTS). კლინიკური პრაქტიკები ტარდება სხვადასხვა პროფილის სამედიცინო ბაზებზე. ლაბორატორიულ და პრაქტიკულ ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება 15-ს. კლინიკური პრაქტიკები ტარდება მენტორული სისტემის გამოყენებით. პროფესიური უნარების შეფასებისას გამოიყენება სტრუქტურირებული შეფასების სისტემა სიმულაციურ და კლინიკურ გარემოში. საქართველოს უნივერსიტეტის პროგრამის უწყვეტი განვითარების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რომლებსაც საფუძვლად დაედო აკრედიტაციის ექსპერტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პესონალის, დარგის უცხოელი ექსპერტის და შიდა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების რეკომენდაციები

პროგრამის ხელს უწყობს და აქვს პოტენციალი მოამზადოს მაღალი კომპეტენციის მქონე ექთნები. ინტეგრირებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებაექთანს გამოუმუშავებს საექთნო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის კლინიკურ უნარ-ჩვევებს.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2020წლის პიკლისს შპს საქართველოს ინივერსიტეტი-შიმედგა სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრისაკრედიტაციისექსპერტთაჯგუფის (თამარდაუსი - თავმჯდომარე, მარიამ აბულაძე - წევრი, ეკა ბაჟანდაძე, - წევრი, ვიზიტი, რეაკრედიტაციაზეწარმოდგენილისაგანმანათლებლოპროგრამის - საექთნო საქმე ბაკალავრის ინგლისურენოვანი პროგრამის

აკრედიტაციისსტანდარტებთანშესაბამისობისდადგენისმიზნით.

ვიზიტამდეაკრედიტაციისექსპერტთაჯგუფისმიერშესწავლილიქნასსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულცენტრშიუნივერსიტეტისმიერწარმოდგენილი თვითშეფასებისანგარიშიდათანდართულიდოკუმენტაცია.

ვიზიტისმსვლელობისასექსპერტთაჯგუფისმიერშემოწმებულიქნაპროგრამისგანხორციელებ ისთვისაუცილებელირესურსი, კერძოდუნივერსიტეტისინფრასტრუქტურა, სიმულაციური ლაბორტორია, ბიბლიოთეკა. ჩატარდაინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან,პროგრამის

ხელმძღვანელთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

დამსაქმებლებთან, საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ვიზიტის ბოლოს შედეგაშემაჯამებელი შეხვედრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი შეხვედრების და ძირითადი მიგნებების მათთვის გაზიარების მიზნით

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

**სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

სტანდარტი 2 – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტი 3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსები თუზრუნველყოფა

სტანდარტი 4 – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სტანდარტი 5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები

- ✓ საქართველოს მოქალაქისთვის ქართული ენის სავალდებულო საგნების ნუსხიდან ამოღება
- ✓ სტომატოლოგიის და საექთნო საქმის სტუდენტები ინდივიდუალურად თავისი მოქმედების არეალის შესაბამისად უნდა გადიოდნენ მიკრობიოლოგიას
- ✓ ლექციების მიმდინარეობისას, ხარისხის დადგენის მიზნით მეტი ყურადღება დაეთმოს საექთნო პროცესზე დაკვივებას
- ✓ რეალური დამსაქმებლის ბაზრის კვლევა
- ✓ პრაქტიკული კრედიტების გაზრდა - თეორიული მეცადინეობის ხანგრძლივობა სასურველია გრძელდებოდეს სულ მცირე მთელი პროგრამის ერთი მესამედი, კლინიკური მეცადინეობა კი მინიმალური მოსამზადებელი

პროგრამის ნახევარი, ანუ მინიმუმ 3600 საათი უნდა დაეთმოს კლინიკურ მომზადებას

- ✓ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა იზრუნოს თარჯიმნის ან კლინიკურ ბაზაზე შესაბამისი კადრის მომზადების საკითხზე ( ენის კომპეტენცია ) სწავლის პროცესში მეტი პრაქტიკოსი ექთნის (ინსტრუქტორის) ჩართულობა-კლინიკურ ინსტრუქტორებს ( ექთანი) მნიშვნელოვანი ამოცანა აქვთ მომავალი ექთნის აღზრდაში. კადრი კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული საექთნო პრაქტიკებში, ასევე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებსა და მიდგომებში რაშიც ძალიან დიდი დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტი

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ლექციების მრავალფეროვნება სტუდენტების დასწრებისა და მოსწრების გამოსწორების მიზნით

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ✓ ქართველ და უცხოელ აბიტურიენტებს საქართველოს უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა საინფორმაციო და მხარდამჭერ სერვისებს, როგორებიცაა:

- ღია კარის დღეები;
- ინდივიდუალური ტურები;
- სტაჟირება აბიტურიენტებისათვის;
- ტრენინგები აბიტურიენტებისათვის;
- ღია ლექციები;
- იმიტირებული ერთიანი ეროვნული გამოცდები;
- პროფესიების კვირეული;

- ✓ ანატომიის ლექციის ვიზუალური მასალით გამდიდრებამ გამოიწვია სტუდენტების მხრიდან მეტი დაინტერესება, რასაც მოყვა დასწრების და შესაბამისად მოსწრების გამოსწორება.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შესაბამეა უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას კვალიფიციური და მაღალი კომპეტენციის მქონე ექთნების მომზადებით. აღნიშნული მიზნის მიღწევას დაწესებულება ინტეგრირებული თეორიული და პრაქტიკული სწავლების მეთოდებითა და საერთაშორისოდ აპრობირებული და თანამედროვე საექთნო სახელმძღვანელოები და სწავლების მეთოდებით ცდილობს. ცალსახად, აღნიშნული მიდგომა კომპეტენტური, ბაკალავრის ხარისხის მქონე, საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი ექთნების მომზადებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა შემუშავდა ევროსაბჭოს დირექტივების (#77/452/EEC, #77/453/EEC), ექთნების საერთაშორისო საბჭოს (ICN) მოთხოვნების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციების, მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს მთავრობისათვის დაფინანსებული პროექტის „Development of Policy Recommendations to Support Modernization of Nursing Education in Georgia“ შედეგების, Tuning-ის სახელმძღვანელოსა<sup>7</sup>. აქედან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული ექთნის კომპეტენციები შესაბამისია ზემოხსენებული დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შესაბამისად, პროგრამა პასუხობს ადგილობრივი და საერთაშორისო საექთნო საქმის როგორც შრომის ბაზრის, ასევე მომდევნო საფეხურის საგანმანათლებლო მოთხოვნებსა და თავისებურებებს. კურსდამთავრებულებს შეეძლება დასაქმდნენ სამედიცინო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციებში, ასევე შეეძლება სწავლა გააგრძელონ საექთნო სპეციალიზაციის, მაგისტრის და მომავალში დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მხრივ აღსანიშნავია, რომ საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა 2016 წლიდან თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების ნორთვესტის უნივერსიტეტთან. თანამშრომლობის ფარგლებში 3-5 ამერიკელი სტუდენტი გადის საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმის პროგრამით უზრუნველყოფილ კლინიკურ სწავლებას.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი

<ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;</li> </ul>
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>შედარების შედეგად, დადგინდა, რომ პროგრამის „საექთნო საქმე“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებთან და პროგრამის კურიკულუმით განსაზღვრულ შინაარსთან.</p> <p>ამასთან, პროგრამით განსაზღვრული შედეგები შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №69/ნ ბრძანებით განსაზღვრული სწავლის სფეროების კლასიფიკატორს.</p> <p>ვთვლით, რომ პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია რაც დასტურდება სწავლის შედეგების რუკითა და სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებით. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.</p>

ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია სწავლის სპეციფიკასთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ეყრდნობა ექთნების საერთაშორისო საბჭოს (ICN) მოთხოვნებს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციებს, მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს მთავრობისათვის დაფინანსებული პროექტის „Development of Policy Recommendations to Support Modernization of Nursing Education in Georgia“ შედეგებს და Tuning-ის სახელმძღვანელოს, რაც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან



სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა ჩართვას პროგრამაში. დაშვების წინაპირობა აგებულია და ითვალისწინებს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.</p> <p>პროგრამაზე დაიშვებიან საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც გააჩნიათ საქართველოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1) ერთიანი ეროვნული გამოცდები;</li> <li>2) ინგლისური ენა B2 დონე;</li> </ol> <p>აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე დაიშვება საქართველოს მოქალაქე, იმ პირობაში, როდესაც უნივერსიტეტს გააჩნია ქართულენოვანი პროგრამა. პროგრამაში არსებული ქართული ენის სავალდებულო გავლა ეხება ასევე საქართველოს მოქალაქეს, რაც არ წარმოადგენს სწორ მიდგომას. უნივერსიტეტის პასუხი, აღნიშნულ მიგნებაზე იყო, რომ „საქართველოს მოქალაქე“ შემთხვევით იყო ჩარჩენილი ჩანაწერში.</p> <p>მნიშვნელოვანია ჩანაწერი გასწორდეს და პროგრამა მოერგოს მხოლოდ უცხოენოვან სტუდენტს.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ <a href="https://www.ug.edu.ge/ge/international-students">https://www.ug.edu.ge/ge/international-students</a></li> <li>✓ <a href="https://www.ug.edu.ge/ge/imitirebuli-gamocdebi">https://www.ug.edu.ge/ge/imitirebuli-gamocdebi</a></li> <li>✓ <a href="https://www.ug.edu.ge/ge/for-applicants">https://www.ug.edu.ge/ge/for-applicants</a></li> <li>✓ <a href="https://www.ug.edu.ge/ge/fee">https://www.ug.edu.ge/ge/fee</a></li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>✓ <a href="https://www.ug.edu.ge/ge/services">https://www.ug.edu.ge/ge/services</a></li> <li>✓ საბაკალავროდასამაგისტროსწავლებისდებულება;</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საქართველოს მოქალაქისთვის ქართული ენის სავალდებულო საგნების ნუსხიდან ამოღება</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არ არის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>ქართველ და უცხოელ აბიტურიენტებს საქართველოს უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა საინფორმაციო და მხარდამჭერ სერვისებს, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ღია კარის დღეები;</li> <li>• ინდივიდუალური ტურები;</li> <li>• სტაჟირება აბიტურიენტებისათვის;</li> <li>• ტრენინგები აბიტურიენტებისათვის;</li> <li>• ღია ლექციები;</li> <li>• იმიტირებული ერთიანი ეროვნული გამოცდები;</li> <li>• პროფესიების კვირეული;</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><b>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b></p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.</p>
--

გათვალისწინებულია წინა ვიზიტის (ქართულენოვანი პროგრამა) დროს აღმოჩენილი მიგნებები.

მიკრობიოლოგიის შინაარსი წარმოადგენს ჯანმრთელობაზე ზემოქმედ მიკროორგანიზმების შესწავლას, მათი ზრდა-გამრავლებისა და გავრცელების ძირითად საფუძვლებს. სტუდენტები შეისწავლიან დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმების კონტროლისა და გაუვნებელყოფის მეთოდებს. კურსი მოიცავს მიკროორგანიზმების კლასიფიკაციას, ბაქტერიოლოგიას, ვირუსოლოგიას, მიკოლოგიას, პარაზიტოლოგიასა და იმუნოლოგიას. კურსში თავმოყრილია იმ მიკროორგანიზმების განხილვა, რომელიც იწვევს ადამიანთა დაავადებებს. მიკრობიოლოგიას შეისწავლის ორი პროგრამის სტუდენტი ერთდროულად.

კერძოდ:

- ✓ სტომატოლოგია
- ✓ საექთნო საქმე

ამ ორი პროგრამის სტუდენტებს ესაჭიროებათ სხვადასხვა დონისა და ანატომიური ლოკაციის საკითხებზე ფოკუსირება და თემის მეტად გაშლა. მნიშვნელოვანია სტომატოლოგიისა და საექთნო საქმის სტუდენტები ინდივიდუალურად გადიოდნენ აღნიშნულ დისციპლინას.

შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

უნივერსიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ინსტიტუციას, რომელმაც საქართველოში შემოიტანა მცნება საექთნო პროცესი, რაც თავის თავში მოიცავს ხუთ საფეხურს:

- ✓ შეფასება
- ✓ საექთნო დიაგნოზი
- ✓ დაგეგმარება
- ✓ იმპლემენტაცია
- ✓ გადაფასება


პაციენტის საექთნო მართვის მთელი პრინციპი აგებულია აღნიშნულ პროცესზე. კლინიკურ სწავლებაში ჩართულები არიან ექიმები. მათ აღნიშნული პროცესის გაცნობა მოახერხეს უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული სახელმძღვანელოებიდან.

მნიშვნელოვანია, ლექციების მიმდინარეობისას შემოწმდეს, ენიჭება თუ არა საექთნო პროცესს სათანადო ყურადღება და ხომ არ ხდება სალექციო მასალის საექიმო მიმართულებით წარმართვა. მაგალითად ყურადღება ექცევა თუ არა საექთნო დიაგნოზს და ხომ არ ხდება მეტწილად ყურადღების გამახვილება კლინიკური დიაგნოზზე. რისკის შესაძლებლობა დაფიქსირდა კლინიკური დისციპლინების ლექტორებისაგან.

უნივერსიტეტს გამოკითხული ჰყავს დამსაქმებელი, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ბაზარზე. მაგალითისთვის წარმოგიდგინებ შეკითხვას, რომელიც არარელევანტურია უცხოენოვანი სტუდენტის მიმართ.

**ჩამოთვლილთაგან რომელ წინაპირობებს ითხოვთ თქვენს დაწესებულებაში დასაქმებისას (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი):**

22 responses



სურ.1

სურათ 1-ზე არ ჩანს ენის კომპეტენცია

უცხოენოვანი სტუდენტებიდან მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული მუშაობს შპს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში. ამავდროულად უნივერსიტეტს ჰყავს უფრო მეტი კურსდამთავრებული, რომლებიც მუშაობენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ:

4 ნიგერიაში (ჩააბარა შესაბამისიგამოცდა)

1 არაბთაგაერთიანებულსამეფოში (ჩააბარაშესაბამისიგამოცდა)

1 დუბაიში (გამოცდაჩააბარადალიცენზიააილოკამერუნში)

მიზან-შედეგობრივად ჩაითვლება კონკრეტული დამსაქმებლის გამოკითხვა, რაც მეტად მორგებული იქნება პროგრამის მახასიათებელზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა “საექთნო საქმე“;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- პროგრამის სილაბუსები
- პროგრამის კომპეტენციების მატრიცა
- წინაპირობების მატრიცა
- საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია
- დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულის კითხვარი

**რეკომენდაციები:**

<ul style="list-style-type: none"> <li>✓ სტომატოლოგიისა და საექთნო საქმის სტუდენტები ინდივიდუალურად თავისი მოქმედების არეალის შესაბამისად უნდა გადიოდნენ მიკრობიოლოგიას;</li> <li>✓ ლექციების მიმდინარეობისას, ხარისხის დადგენის მიზნით მეტი ყურადღება დაეთმოს საექთნო პროცესზე დაკვირვებას;</li> <li>✓ რეალური დამსაქმებლის ბაზრის კვლევა;</li> </ul>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
○
<b>შეფასება</b>
<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<b>Xმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b>
<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<b>2.3. სასწავლო კურსი</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</li> <li>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;</li> </ul>
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
<p>სასწავლო კურსი იძლევა საშუალებას სტუდენტი დაეიფლოს თეორიული საკითხების საბაზისო ცოდნას, სამედიცინო მომსახურების ყველა დონეზე ბაკალავრი ექთნის კომპეტენციის ფარგლებში მოქმედების უნარს, საექთნო პროცესის ყველა ეტაპზე ოპერირების პრაქტიკულ უნარს, საექთნო მოვლის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების კვლევის პრინციპების ცოდნას;</p> <p>კურსი კარგად ასახავს პაციენტთან, პაციენტის კანონიერ წარმომადგენელთან და კოლეგებთან ურთიერთობისას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, პროფესიული სტანდარტების, ეთიკური პრინციპების და პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების გათვალისწინების უნარს;</p>

<p>ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; თითოეული დისციპლინა შექმნილია საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და წარმოდგენილია ასტრონომიული საათების პროპორციულად ECTS კრედიტებში.</p> <p>ლექტორებთან საუბრისას გამოიკვეთა სტუდენტების მოსწრების დაბალი მაჩვენებელი მათი არერეგულარული დასწრების ხარჯზე ( მიკრობიოლოგია, ფარმაცოლოგია).</p> <p>ანატომიის ლექტორი აღნიშნავს მოსწრებისა და დასწრების პროგრესის დინამიკას, რადგან ლექციებს დაემატა ვიზუალური მრავალფეროვნება.</p> <p>კლინიკური პრაქტიკის სასწავლო კომპონენტები ითვალისწინებს საბაკალავრო საფეხურისათვის შესაბამისი მიმართულებისა პრაქტიკას, რომელიც განსაზღვრულია ევროსაბჭოს მარეგულირებელი დოკუმენტით. სტუდენტები კლინიკურ პრაქტიკას გადიან შემდეგი მიმართულებით: თერაპია, ქირურგია, პედიატრია, ფსიქიკური ჯანმრთელობა, კრიტიკული მედიცინა, გერიატრია, პირველადი ჯანდაცვა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა და ონკოლოგია.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამა „საექთნო საქმე“</li> <li>• სწავლის შედეგების რუკა;</li> <li>• პროგრამის სილაბუსები</li> <li>• ევროსაბჭოს მარეგულირებელი დოკუმენტი DIRECTIVE 2005/36</li> <li>• საუნივერსიტეტო დებულება</li> <li>• პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>ლექციების მრავალფეროვნება სტუდენტების დასწრებისა და მოსწრების გამოსწორების მიზნით</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>ანატომიის ლექციის ვიზუალური მასალით გამდიდრებამ გამოიწვია სტუდენტების მხრიდან მეტი დაინტერესება, რასაც მოჰყვა დასწრების და, შესაბამისად, მოსწრების გამოსწორება.</p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p>

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტს გააჩნია ფართო სპექტრით და ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით წარმოდგენილი სიმულაციური ლაბორატორია, სადაც შეისწავლება ბაზისური მანიპულაციები.

მისასაღმებელია ინფექციის კონტროლის საფუძვლების კომპონენტის შესწავლა, მათ შორის: ინფექციის გავრცელების გზები, პრევენცია, ინფექციური დაავადებების დროს სპეციალური და საიზოლაციო ღონისძიებების გამოყენების პრინციპები, პაციენტისა და სამედიცინო პერსონალის დაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებები, რადგან კლინიკებში უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი ხდება ინფექციის კონტროლის მედლის კომპონენტი.

პრაქტიკული კრედიტების გაზრდა წარმოადგენს სწავლების უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რადგან კლინიკური სწავლება არის ექთნის მომზადების ის ნაწილი, სადაც მომავალი ექთანის, როგორც გუნდის წევრი, ჯანმრთელ და ავადმყოფ პირებთან ან/და თემთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებით უკვე შეძენილი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების საფუძველზე სწავლობს სრულფასოვანი საექთნო მომსახურების ორგანიზებას, განხორციელებასა და შეფასებას. მომავალმა ექთანმა უნდა ისწავლოს როგორ იმუშაოს გუნდში, მართოს გუნდი და ორგანიზება გაუწიოს სრულ საექთნო მომსახურებას, ასევე მიაწოდოს შესაბამისი განათლება ინდივიდებსა თუ მცირე ჯგუფებს, როგორც სამედიცინო დაწესებულებებში, ასევე მოსახლეობაში/საზოგადოებაში.<sup>1</sup>

კლინიკურ ბაზაზე სტუდენტს მიყვება უნივერსიტეტის წარმომადგენელი, მენტორი, რომელიც კომპეტენტურია, როგორც კლინიკურ საქმიანობაში ასევე ფლობს ინგლისურ ენას. მენტორ სტუდენტის შეფარდება არის 1/6, რაც მენტორს უადვილებს სტუდენტის მეთვალყურეობას. მენტორის გადმოცემით ის ინდივიდუალურად მიყვება სტუდენტს პაციენტთან და ეხმარება კომუნიკაციის დამყარებაში. მაინც ღიად რჩება საკითხი,

<sup>1</sup> ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში

მენტორის გარეშე დარჩენილი სტუდენტებისა, რომლებიც კომუნიკაციაში შედიან საექთნო სამსახურის წარმომადგენლებთან და სწორედ აქ ისახება კომუნიკაციის ( ენობრივი ბარიერი) პრობლემა. უნივერსიტეტის წარმომადგენლის გადმოცემით სტუდენტები და ექთნები კომუნიკაციას ამყარებენ ქესტიკულაციით, რაც საგრძნობლად დაწევს სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხს. უნივერსიტეტის გადმოცემით მენტორის გაყოლა საკმარისია და აშშ-ში აღიარებული პრაქტიკაა, რაშიც ვეთანხმები, თუმცა ამ უკანასკნელის პრაქტიკაში მენტორის, ექთნისა და სტუდენტის ძირითად საკომუნიკაციო ენას ინგლისური ენა წარმოადგენს და პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს საექთნო სამსახურისა და სტუდენტის მისკომუნიკაცია.

სტუდენტებმა კითხვაზე, თუ როგორ ამყარებდნენ კომუნიკაციას მენტორის გარეშე, აღნიშნეს რომ იყენებდნენ google translator -ს და google-ისსაძიებო პლატფორმას. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა იზრუნოს თარჯიმნის ან კლინიკურ ბაზაზე შესაბამისი კადრის მომზადების საკითხზე ( ენის კომპეტენცია).

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ინტერვიუ
  - მემორანდუმი;

**რეკომენდაციები:**

- ✓ პრაქტიკული კრედიტების გაზრდა - თეორიული მეცადინეობის ხანგრძლივობა სასურველია გრძელდებოდეს სულ მცირე მთელი პროგრამის ერთი მესამედი, კლინიკური მეცადინეობა კი მინიმალური მოსამზადებელი პროგრამის ნახევარი, ანუ მინიმუმ 3600 საათი უნდა დაეთმოს კლინიკურ მომზადებას;
- ✓ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა იზრუნოს თარჯიმნის ან კლინიკურ ბაზაზე შესაბამისი კადრის მომზადების საკითხზე (ენის კომპეტენცია) სწავლის პროცესში მეტი პრაქტიკოსი ექთნის (ინსტრუქტორის) ჩართულობაზე-კლინიკურ ინსტრუქტორებს (ექთანი) მნიშვნელოვანი ამოცანა აქვთ მომავალი ექთნის აღზრდაში. კადრი კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული საექთნო პრაქტიკებში, ასევე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებსა და მიდგომებში. რაშიც ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტი

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**



შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა დაფუძნებულია და აგებულია სტუდენტზე ორიენტირებულ პრონციპზე, რაც ავითარებს სტუდენტების უნარ-ჩვევებს, კრიტიკული აზროვნების უნარს და აღრმავებს სტუდენტის აკადემიურ ცოდნას.

პროგრამის ასათვისებლად გამოყენებულია სხვადასხვა სწავლების მეთოდი:

✓ სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები სადაც სტუდენტი აქტიურად

არის ჩართული, მეთოდი მოიცავს შემთხვევათა სწავლებას, დისკუსიებს,

პრეზენტაციებს, ემპირიულ (როლთა განაწილება, სიმულაცია, თამაში)

სწავლებას, სემინარებსა და პროექტებს. სწავლების პროცესში

გამოყენებული სწავლების ფორმებია: ინტერაქტიური ლექციები,

პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული სავარჯიშოები,

სემინარები, კოლოქვიუმები; სიმულატორების და მულაჟების

გამოყენება; კლინიკურ გარემოში სწავლება სამეცნიერო კვლევაში

მონაწილეობა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება;

✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;

სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის

პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. ამ მათოდით სწავლებას

ესაჭიროება ზემოთხსენებული რეკომენდაცია. სტუდენტმა უნდა

შეძლოს სარწმუნო ინფორმაციის მოძიების უნრის განვითარება, რათა

მოახდინოს პრობლემის და საექთნო მართვა

✓ სწავლა გამოცდილებით – გამოიყენება, ძირითადად, კლინიკური

სწავლების ეტაპზე. მისი არსი არის სწავლა გამოცდილების შეძენის

გზით და მის საფუძველზე. ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში

სასურველია მეტი სტუდენტი იყოს ჩართული, რადგან ამ გზით

სტუდენტებს მიეცემათ საშუალება გაიზიარონ განვითარებულ

ქვეყნებში დანერგილი საექთნო პრაქტიკა და გაზიარებით მოახდინონ

ინფორმაციის დესიმინირება.

✓ ჯგუფური მუშაობა;

✓ დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად

წარმოდგენას გულისხმობს.

<p>უნდა აღინიშნოს სტუდენტების კმაყოფილება სწავლების მეთოდების მიმდინარეობის მამართ. რაც თავისთავას ცხადყოფს უნივერსიტეტის მიერ საკითხოსადმი მაღალკვალიფიციურ დამოკიდებულებას.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ თვითშეფასების დოკუმენტი</li> <li>○ სილაბუსები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>არ არის</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**2.6. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც რეგულირდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანება).

სასწავლო კურსის/დისციპლინის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში. სტუდენტებისთვის სილაბუსი ხელმისაწვდომია სემესტრის დასაწყისშივე UG ელექტრონული სისტემის საშუალებით.

პროგრამაში ყოველდღიური შეფასება ხდება ქვიზის სახით. სტუდენტის გვერდზე ყოველკვირეულად აისახება ქვიზის შეფასებები. გარდა ყოველდღიური წერითი ქვიზისა,

სტუდენტებს უტარდებათ ყოველკვირეული პრაქტიკული სამუშაოები, რაც ფასდება ლექტორის მიერ.

A-დან F-მდე შეფასების სისტემაა გამოყენებული

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასება 91 ქულა და მეტი
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასება 81- 90 ქულა
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასება 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასება 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასება 51-60 ქულა

FX ნიშნავს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ დავალების ხელმეორედ შესრულება, როგორც კი, გამოხმაურებას მიიღებენ თავიანთ შეცდომებთან დაკავშირებით. F შეფასება კი ნიშნავს, რომ სტუდენტმა ხელმეორედ უნდა გაიაროს სემესტრი.

შედეგები ხელმისაწვდომია აკადემიური და მოწვეული მასწავლებლებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის და გამოყენებულია სასწავლო კურსების შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას.

სტუდენტებისთვის იგეგმება OSCE ფორმალური ტიპის გამოცდა სიმულაციის ლაბორატორიაში, რაც, თავის მხრივ, გაზრდის კრიტიკული აზროვნების უნარს.

